



## ივლიანე ხაინდრავა

### კონფლიქტის მხარეებს შორის სოციალურ-კულტურული გაუცხოება: რამდენად სახიფათოა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური შერიგების პერსპექტივისთვის?

საქართველოს მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე იურისდიქციის დე ფაქტო დაკარგვისა და ეთნიკური ქართველების უდიდესი უმრავლესობის გამოდევნის შემდგომ გაუცხოება ამ ტერიტორიებზე დარჩენილ და დანარჩენი საქართველოს საზოგადოებებს შორის განუხრელად ღრმავდება. სიმწიფის ასაკში შევიდა გასული საუკუნის მიწურულს დაბადებული თაობა, რომელსაც კონფლიქტის მეორე მხარის წარმომადგენლებთან თანაცხოვრების პრაქტიკა, არსებითად, არ გააჩნია, იმავდროულად კი სულ უფრო თვალსაჩინო ადგილს იკავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მართვაში. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული პროცესები გამყოფი ხაზების გაღმა-გამოდმა განსხვავებული ტრაექტორიებით წარიმართა, განსაკუთრებით - 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. შედეგად, დღეს ეს საზოგადოებები კოორდინატთა (ფსეულობათა) სხვადასხვა სისტემაში (პირობითად - დასავლურში და რუსულში) აღმოჩნდნენ. წინამდებარე დოკუმენტში განვიხილავთ გაუცხოების რამდენიმე გამოვლინებას და მათი ერთობლიობის საფუძველზე პასუხს გაცემით სათაურში გამოტანილ კითხვას.

#### ენა

მრავალი ათწლეულის მანძილზე სხვადასხვა თემს შორის ურთიერთობის ენა აფხაზეთში იყო რუსული და დღესაც ასეთად რჩება. ამისგან განსხვავებით, დანარჩენ საქართველოში 90-იანებში და უფრო გვიან დაბადებულ ქართველ ახალგაზრდებს შორის შეუდარებლად უფრო პოპულარულია ინგლისური, რუსულის კარგი ცოდნა კი იშვიათობა გახდა. ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების (და არა მხოლოდ ახალგაზრდების) შეხვედრებისას კომუნიკაციის ენად კვლავინდებურად გამოიყენება რუსული, ოღონდ აფხაზები მას ფლობენ მშობლიურის დონეზე (ხანდახან - უკეთესადაც კი), ქართველებს კი ხშირად უჭირთ საკუთარი აზრის სრულყოფილად გამოხატვა რუსულად. დროთა განმავლობაში ურთიერთობის ენის პრაქტიკული და სიმბოლური დატვირთვის მატარებელი საკითხი კიდევ უფრო პრობლემატური გახდება შემდეგი გარემოებების გამო:

- ქართველები მასობრივად არ შეისწავლიან აფხაზურს (არც ოსურს), რადგან მხოლოდ აფხაზებთან საურთიერთოდ (სხვა გამოყენება კი აფხაზურს არ აქვს და არც ექნება) უცხო ენის სასწავლებლად დროს და ენერჯიას არავენ გაიმეტებს (სპეციალისტების ვიწრო წრის გარდა);
- იმედი იმისა, რომ აფხაზები მასობრივად შეისწავლიან ქართულს, ფუჭია, რადგან გასული საუკუნის 40-იანების ტრავმა, როცა საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში აფხაზურად სწავლება ქართულად სწავლებით ჩაანაცვლეს, დღესაც მოუშუშებელია და ამ ფაქტს აფხაზები ასიმილაციის დაუფარავ განზრახვად აღიქვამენ. ქართულის შედარებითი მოძლიერება აფხაზეთში მხოლოდ გაერთიანებისა და იქ გონივრული (მათ შორის - ენობრივი) პოლიტიკის გატარების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ;



- ქართულ-აფხაზური კომუნიკაციისთვის კი, ვთქვათ, ინგლისური ენის გამოყენების მცდელობა (რისთვისაც აფხაზური მხარე არაა მზად) გაუცხოების დამლევა კი არა, არამედ მისი ხაზგასმა უფრო იქნება.

ქართულ-ოსური ურთიერთობები, მათ შორის - ენობრივი, განსხვავებულად ვითარდებოდა, თუმცა 2008 წლის შემდეგ ეს პრობლემა არანაკლებ რთული გადასაჭრელი გახდა, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში.

ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის საკომუნიკაციო ენის პრობლემა განსახილველია, აგრეთვე, როგორც ქართულ-რუსული გაუცხოების უშუალო შედეგი, რაც თავის უარყოფით დაღს ასვამს საქართველოში განვითარებული კონფლიქტების პრაქტიკულად თითოეულ შემადგენელს.

### **ისტორია**

ისტორიის განსხვავებული ინტერპრეტაცია, ერთი მხრივ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ერთ-ერთი მასაზრდოებელ/მაპროვოცირებელი ფაქტორია, მეორე მხრივ კი, ამ კონფლიქტების შედეგად ისტორიის ინტერპრეტაცია კიდევ უფრო შეუთავსებელი გახდა და მხარეებს შორის გაუცხოების პროცესში ფუნდამენტურ მენტალურ-იდეოლოგიურ როლს ასრულებს. ამ სფეროში სამხრეთ ოსეთმა „გაუსწრო“ კიდევ აფხაზეთს - 2020 წლის ივნისში ცხინვალმა აღნიშნა „ქართველების მიერ ოსთა გენოციდის 100 წლისთავი“ და მიმართა მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მისი აღიარების მოწოდებით.

აფხაზობაში საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნა ბედის უკუღმართობას მიეწერება, აფხაზური ეთნოსის გადაშენების პირას მისვლა უმეტესწილად ქართველებს ბრალდება, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ზიგზაგებით გამოწვეული ფათერაკები ეთნიკური ქართველების - სტალინისა და ბერიას - ანტიაფხაზურ შეთქმულებად მიჩნეული, 1992-1993 წლების ომი „სამამულო ომად“ იწოდება და საქართველოსგან გამოყოფის „ლეგიტიმაციის“ მთავარ არგუმენტად გამოიყენება (რაც გაფორმდა 1999 წ. რეფერენდუმითა და დამოუკიდებლობის აქტით).

აფხაზურ და ოსურ (ფსევდო) ისტორიულ ნარატივებს 2019 წლის ივლისში საჯაროდ დაუჭირა მხარი რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა, როცა საქართველო „აფხაზეთის ოკუპაციაში“ ამხილა, ხოლო სამხრეთ ოსეთში ქართული ჯარის მოქმედება (1919-1920 წლებში) „გენოციდს“ გაუთანაბრა. საფიქრალია, რომ ეს მიდგომა დომინანტური იქნება რუსულ პოლიტიკურ მეინსტრიმში, რადგან ვ. პუტინის ისტორიულ-საარქივო „მიგნებების“ საფუძველზე ოფიციალური მოსკოვი ფეიკისტორიის ვერსიას აყალიბებს მისთვის უკვე ტრადიციულად ქცეულ ანტიდასავლურ და ნეოიმპერიალისტურ პარადიგმაში. 2020 წლის ივლისის რეფერენდუმით რუსეთის კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი „ისტორიული სიმართლის“ შესახებ, რაც, სავარაუდოდ, რუსეთის რევიზიონისტული და ოპორტუნისტული ზრახვების გამართლებას მოემსახურება, მით უფრო, რომ კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების ძალით რუსეთის კანონმდებლობას უკვე ფორმალურადაც მიენიჭა უპირატესობა საერთაშორისო სამართალთან შედარებით.

პრობლემები, ბუნებრივია, ქართულ მხარესაც არის - თუნდაც მეცნიერულ საფუძველს მოკლებული აფხაზთა ისტორიის ინგოროყვასეული ვერსია, რომელსაც დღესაც ჰყავს მიმდევრები ქართველთა შორის და რომელიც აფხაზობის მიერ მათი იდენტობის წინააღმდეგ ომის გამოცხადებად იყო (და არის) აღქმული. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ქართველთა



დამოკიდებულება ეთნიკური აფხაზებისა და ოსების მიმართ დღეს უფრო შემრიგებლურია, ვიდრე პირიქით და ბოლო 20-25 წლის მანძილზე ზოგი რამის გა(და)აზრება, სხვა რაკურსით დანახვა მოხერხდა, მასობრივი ინფორმირებულობის დონე აფხაზებსა და სამხრეთ ოსებზე, მათ ისტორიაზე, ინტერესებზე, მისწრაფებებსა და შიშებზე სათანადო არაა<sup>1</sup>. ამას კი მივყავართ გაუცხოების კიდევ ერთ მიზეზთან, რომელიც განათლების სფეროდან იღებს სათავეს.

**განათლება**

განათლების სისტემებს შორის განსხვავება, ერთი მხრივ, დანარჩენ საქართველოს და, მეორე მხრივ კი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის ცალკე შესწავლის თემაა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ აცდენა ამ სფეროშიც აშკარაა - საქართველო ისწრაფვის განათლების დასავლური სტანდარტებისკენ, სოხუმი და ცხინვალი რუსულ სივრცეში რჩებიან, რასაც თავისი წვლილი შეაქვს გაუცხოების პროცესში. ამასთან, აფხაზურ და ოსურ მიდგომებს შორის ასიმეტრია ამ საკითხშიც იკვეთება: აფხაზები ითხოვენ თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას, მათ შორის - დასავლეთში განათლების მისაღებად, რა მოთხოვნილებაც სამხრეთელ ოსებში პრაქტიკულად არ შეინიშნება.

გაუცხოებაში თავისი წვლილი კი საშუალო სკოლაში ისტორიის (გარკვეულწილად - სხვა ჰუმანიტარული საგნების) სწავლებას შეაქვს, როგორც დანარჩენ საქართველოში, ისე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ოღონდ - განსხვავებულად, რასაც კვლევები ადასტურებს<sup>2</sup>. ასე ქართულ სახელმძღვანელოებში შესაბამის თემატიკას (თანამედროვე კონფლიქტების ჩათვლით) არაჯეროვანი ყურადღება ეთმობა, რის გამოც მოსწავლეს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა რჩება იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეების მანძილზე და რატომ დაგვირგვინდა ეს ურთიერთობები სისხლისმღვრელი კონფლიქტებით და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სეცესიით. აფხაზურ და ოსურ სახელმძღვანელოებში კი თანამედროვე კონფლიქტები ყურადღების ეპიცენტრშია მოქცეული და ლამის მთელი ისტორიის ინტერპრეტაცია ემსახურება ქართველის, როგორც მტრის ხატის კულტივირებას. შედეგად ვიღებთ მდგომარეობას, როცა სკოლის კურსდამთავრებულმა პირობითმა ქართველმა ცოტა რამ თუ იცის აფხაზებსა და ოსებზე და უპირატესად რუსეთის მარიონეტებად აღიქვამს მათ, რაც დამამცირებელია მათთვის, ხოლო ქართველის აფხაზ და ოს ვიზავის სკოლაში მიღებული ცოდნის საფუძველზე ჰგონია, რომ მისი (მისი ერის) ყველა უბედურების მიზეზი ქართველია, რაც უსამართლობაა ქართველების მიმართ. გასაკვირი არაა, რომ ამგვარი „ცოდნით“ აღჭურვილი ადამიანები ექვის თვალით უყურებენ ერთმანეთს და ამჯობინებენ დისტანციის დაცვას, რაც გაუცხოებას უწყობს ხელს და არა - შერიგებას.

**საინფორმაციო-იდეოლოგიური ველი**

განათლების ზემოხსენებული თავისებურებების შემდგომი ასახვა ხდება კონფლიქტების მხარეების საინფორმაციო ველებშიც, სადაც ნულოვანი ჯამის თამაში (zero sum game)

<sup>1</sup> იხ. მაგ.: ნათია ჭანკვეტაძე, „კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში: იდეიდან ქმედებამდე“, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2020 წ., მარტი.

<sup>2</sup> იხ. მაგ.: მაია ბარქაია, „ომით გაყოფილი ისტორია: კონფლიქტები და ისტორიის სწავლება საქართველოში“, კავკასიური სახლი, 2019.



დასადგურდა - ოპონენტზე ან ცუდი ითქმება და იწერება, ან არაფერი. ქართულ საინფორმაციო სივრცეში არის რამდენიმე გამონაკლისი (მაგალითად, JAMnews, accentnews, netgazeti), რაც ზოგად სურათს ვერ ცვლის. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მედიაში კი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, საქართველოში მიმდინარე პროცესები ან სრულადაა იგნორირებული, ან მათი წარმოჩენა უარყოფითი რაკურსით ხდება, რაც დისტანცირება/გაუცხოებას ემსახურება. „პროქართულობა“ უმძიმესი პოლიტიკური ბრალდებაა სოხუმსა და ცხინვალში და ქართულ სინამდვილეში „პრორუსულობის“ ბრალდების ტოლფასია ან აღემატება კიდევ მას. იმავდროულად, „პროაფხაზეთობის“ ან „პროოსობის“ ბრალდება ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ვერ დამკვიდრდა, რაც, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გაიჟღეროს ამან, აძლიერებს გაუცხოებას: გამოდის, რომ ქართველები არც აფხაზებს და არც ოსებს თავის ტოლად და სწორად არ აღიქვამენ (ქართულ ცნობიერებაში „ნამდვილი“ მტრის მისიას ისინი ვერ სწვდებიან - ეს მისია რუსეთს ეკისრება), აფხაზებსა და ოსებს კი თავმოყვარეობა ელახებათ იმის გამო, რომ მათ მტრადაც კი არ აღიარებენ, ანუ - არაფრად აგდებენ. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე დაკრული აზრა - „ოკუპირებული ტერიტორიები“ - თუმცა კი ასახავს დე ფაქტო და დე იურე მდგომარეობას, ვერაა მისი ამომწურავი დახასიათება. აფხაზეთი, ოსური და რუსული ადმინისტრაციების ერთ (და ერთიან) - საოკუპაციო - რეჟიმად წარმოჩენა ყალბ წარმოდგენებს ასაზრდოებს ქართულ საზოგადოებაში, ემსახურება არა მხოლოდ რთული ვითარების ხელოვნურად გამარტივებას - უარის თქმას აფხაზეთ და რუსულ პროექტებს შორის განსხვავებების დანახვასა და გამოყენებაზე - არამედ პასუხისმგებლობისა და კრეატიულობის მუხტის დაქვეითებასაც. მეორე მხრივ კი, ამგვარი მიდგომა უკარგავს აფხაზებს სტიმულს შეძლებისდაგვარად (სადაც და როცა გაუვათ) საკუთარი კურსის გატარებისა საქართველოს მიმართ (ამის ნიშნები დროდადრო, მათ შორის ახლაც, შეინიშნება), რადგან ოფიციალური თბილისი სოხუმიდან წამოსულ სიგნალებს ან „ვერ ამჩნევს“ ან „რუსულ ხრიკებს“ უწოდებს და იმავეს ურჩევს დასავლელ პარტნიორებს. შესაბამისად, აფხაზების მეცადინეობა, რუსეთისგან განსხვავებულებად წარმოჩინდნენ დანარჩენ საქართველოსთან ურთიერთობებში, უშედეგო რჩება (საშინაო პოლიტიკის ზოგ სფეროში ისინი ახერხებენ რუსეთისთვის არმოსაწონი გადაწყვეტილებების მიღებას და ცხოვრებაში გატარებას). რუსეთი კი ამ მდგომარეობით უდასტურებს ყველას - „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე მომმართველ მე“.

**სხვა**

**განზომილებები**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების (და აზროვნების) სხვა სფეროებშიც კონფლიქტის მხარეთა დაშორიშორება/გაუცხოების ტენდენცია აშკარაა. ის, რაც დანარჩენ საქართველოში უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად აღიქმება (რუსეთი), აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების გარანტიადაა მიჩნეული და პირიქით - საქართველოს უსაფრთხოების მთავარი იმედი - ნატო - სოხუმსა და ცხინვალში პოტენციურ საფრთხედ განიხილება. იმ დროს, როცა თვითგამოცხადებულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებში საპრეზიდენტო მმართველობაა, დანარჩენი საქართველო საპარლამენტო მოდელზე გადასვლის საბოლოო ფაზაშია შესული. მაშინ, როცა მიმდინარეობს დანარჩენი საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროპულ კანონმდებლობასთან, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსულ (ინსტიტუციონალიზებული ავტორიტარიზმის) სამართლებრივ სივრცეში რჩებიან. იმ დროს, როცა საქართველოს მიღწევები კორუფციასთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ადმინისტრაციულ რეფორმაში, ბიზნესის კეთების სიმარტივისა და გადასახადების დაბალი





განაკვეთების თვალსაზრისით საყოველთაოდაა აღიარებული, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარება ბევრად არ განსხვავდება საბჭოთა დროინდელისგან. 90-იანი წლების დასაწყისის ომების შემდგომ დანარჩენმა საქართველომ გაიარა გზა ვერშემდგარი სახელმწიფოს (failed state) არაფორმალური სტატუსიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერი-ქვეყნის სტატუსამდე, რა ფონზეც მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ:

1. დღევანდელი აფხაზეთის ეკონომიკური, დემოგრაფიული და ა.შ. რესურსები არაა საკმარისი სახელმწიფოს წარმატებული მშენებლობისთვის, ხოლო თავისი არსით ისეთი ანტისახელმწიფოებრივი მოვლენები, როგორცაა საზოგადოების კლანური სტრუქტურა და ძალაუფლების ეთნოკრატიული ხასიათი დაუძლეველ პრობლემებად რჩება;

2. აფხაზეთის რეალური დამოუკიდებლობა არავის (მათ შორის - არც რუსეთს) სჭირდება და მას არც საამისო საგარეო რესურსი გააჩნია.

ამ ორი - შიდა და გარე - შემადგენლის ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ რეფორმისტული, მოდერნიზაციული პოტენციალი აფხაზეთში მხოლოდ რიტორიკის დონეს სწვდება, მაგრამ საჭირო ცვლილებებს და განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. მეტიც - 21-ე საუკუნეში გამართული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ეპოპეა აფხაზეთში პოლიტიკური პროცესის დეგრადაციაზე მეტყველებს.

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანა არც კი დამდგარა დღის წესრიგში, რადგან ცხინვალის პროექტი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე უფრო შორს არ მიდის.

**შეჯამება**

მზარდი ურთიერთგაუცხოების პირობებში საქართველოს მხრიდან როგორც ჭარბი სიფრთხილე - „არიქა, რამე არ გავაფუჭოთ“, ისე საგარეო-პოლიტიკური კონიუნქტურის უკეთესობისკენ შეცვლის დალოდება - „აფხაზების (და ოსების) გაწვილება რუსული პოლიტიკით შორს აღარაა“, ან „რუსეთი მალე დაიშლება და ჩვენი კონფლიქტებიც მოგვარდება“, ან „შევალოთ ევროკავშირში და ნატოში და აქეთ გვთხოვენ აფხაზები და ოსები საქართველოში დაბრუნებას“ და/ან სხვა მსგავსი მოტივებით, ემყარება ცნობიერ თუ ქვეცნობიერ რწმენას, თითქოს დრო საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. სამწუხაროდ, რეალობა საწინააღმდეგოს მიგვანიშნებს. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 35 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი დაახლოებით 45%-ს შეადგენს, ანუ კიდევ ხუთიოდ წელიწადში აფხაზეთში მათი წილი, ვისაც ფაქტობრივად არ უცხოვრია საქართველოს შემადგენლობაში ქართველებთან ერთად (ან ასაკის გამო არ ახსოვს), ნახევარს გადააჭარბებს, ხოლო 2055 წელს - 90 პროცენტს მიაღწევს (გალის ქართველობა ზოგად სურათს ამ კუთხით ვერ ცვლის). ქართველ დევნილებშიც შვილების თაობა - ვინც იცის, რომ აფხაზეთია მისი „მცირე“ სამშობლო, მაგრამ არ უცხოვრია იქ (ან არ ახსოვს ასაკის გამო), რიცხოვნობით მალე გადაუსწრებს მშობლებისას, ვისი ბმაც აფხაზეთთან (და სამხრეთ ოსეთთან) თანდაყოლილი და მჭიდროა. არსებითად უკვე უცხო სახელმწიფოსთან ნებაყოფლობით გაერთიანება (აფხაზების და ოსების შემთხვევაში) ან არსებითად უცხო გარემოში გადასახლება (დაბრუნება - ქართველების შემთხვევაში) ნაკლებადაა სავარაუდო. პირველის პრეცედენტი თანამედროვე ევროპაში არ იძებნება; მეორის მაგალითია ებრაელობა პალესტინაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ერთიან ებრაულ-არაბულ სახელმწიფოზე ლაპარაკი არაა.



განხილული ტენდენციების შენარჩუნების პირობებში აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება რაღაც მანქანებით რომც მოხდეს, ვთქვათ, შემდგომი 10-15 წლის ვადაში, ის (აფხაზეთი) იქნება, არსებითად, უცხო წარმონაქმნი, რომლის ერთიან სახელმწიფო სხეულში წარმატებული იმპლანტაციის ალბათობა მაღალი ვერ იქნება (ვიციტ, რამხელა ძალისხმევას მოითხოვს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია). გერმანიის მაგალითი, რომელიც 45 წლის მერე გაერთიანდა, არ გამოგვადგება: აქ საქმე გვაქვს ერთ ერთან, რომელიც ძალდატანებით დაყვეს ორ სახელმწიფოდ (მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ძალთა ბალანსიდან გამომდინარე), ხოლო აფხაზეთმა და ოსებმა იომეს საქართველოდან გასვლისთვის და ეს ომები მათი თანამედროვე თვითიდენტიფიკაციის ქვაკუთხედეა. თანაც, გერმანიის შემთხვევაშიც კი (ერთი ენა, საერთო ისტორია, უზარმაზარი საფინანსო-ეკონომიკური შესაძლებლობები და ა.შ.) გაერთიანებიდან სამი ათწლეულის თავზე გაუცხოება დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის ჯერ კიდევ ვერაა ბოლომდე დაძლეული.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული პრივილეგიების ხიბლიც არ უნდა შევავასოთ გადაჭარბებით აფხაზეთის (მით უფრო - სამხრეთ ოსეთის) რეინტეგრაციის კონტექსტში: ჯერ ერთი, არავინ იცის, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრი და მეორე - კვიპროსის შემთხვევაში ამგვარმა „სატყუარამ“ ვერ იმუშავა და თურქეთის დომინანტური გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილოეთი კვიპროსი არაღიარებულ, ევროკავშირის წევრ კვიპროსის რესპუბლიკის იურისდიქციის მიღმა მყოფ წარმონაქმნად რჩება. ნიშანდობლივია, რომ ნებისმიერ (მაღალ) ფასად 1974 წელს ომის შედეგად მოწყვეტილი (თურქული) ნაწილის დაბრუნება „დანარჩენი“ კვიპროსის (ბერძნულმა) მოსახლეობამ აღარ მოისურვა - კუნძულის გაერთიანების გაეროს მიერ შემუშავებულ გეგმას (ე.წ. „ანანის გეგმა“) 2004 წლის რეფერენდუმზე ჩრდილოელთა (კვიპროსელი თურქების) 65%-მა დაუჭირა მხარი, სამხრეთელების (კვიპროსელი ბერძნების) 75%-მა კი უარყო.

კიდევ ერთ ჩვენთვის საყურადღებო შემთხვევაში - სერბეთ-კოსოვოს კონფლიქტში - კოსოვო გაეროს წევრი-სახელმწიფოების დაახლოებით ნახევარმა აღიარა (მათ შორის - აშშ-მა და ევროკავშირის წევრთა უმრავლესობამ), ხოლო კონფლიქტის საბოლოო მოგვარების ფორმულის ძიება ურთიერთაღიარებასა და ორივეს ევროკავშირში გაწევრიანების პარადიგმაში წარმოებს. აშშ-ის შუამდგომლობით მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზების თაობაზე შეთანხმების მიღწევა 2020-ის სექტემბერში გარღვევის პოტენციალის შემცველია და მოვლენათა შემდგომი განვითარებაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან.

**დასკვნა**

ამრიგად, სადღეისოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური *შერიგებისა* და მხარეებს შორის კონფლიქტების *მოგვარების* კონტურები არ იკვეთება. უარესი - შემდგომ ურთიერთგაუცხოებას მივყავართ მდგომარეობამდე, როცა ვერც პოლიტიკური, ვერც ეკონომიკური და ვერანაირი სხვა მშვიდობიანი მეთოდებით ერთიან სახელმწიფოში ამ ეთნოსების თანაცხოვრების უზრუნველყოფა ვეღარ მოხერხდება. ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივის რეალურ პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაბრუნებლად გასავლელია ეტაპი, რომელიც მოიაზრებს კონფლიქტის მხარეებს შორის გაუცხოების ჩანაცვლებას ერთმანეთის მიმართ ნდობის



აღდგენაზე, შემდგომ კი - შერიგებაზე მიმართული პროცესით. შესაბამისი კონსოლიდირებული პოლიტიკის ელემენტებს შორის აღვნიშნავთ:

- კონფლიქტის *ტრანსფორმაციის* საუკეთესო პრაქტიკების ადაპტირებას ჩვენს რეალიებთან და მათ ამოქმედებას კეთილი ნების აქტორთა მთელი სპექტრის მიერ;
- ურთიერთობების ყველა შესაძლო არხის აღდგენა/შექმნას კონფლიქტურ რეგიონებში დარჩენილ საზოგადოებებთან;
- ნდობის აღდგენასა და შერიგებაზე ორიენტირებული ინიციატივების უწყვეტად შემუშავებასა და შეთავაზებას;
- სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მუდმივი დიალოგის რეჟიმში შესვლას (სოხუმის ამჟამინდელი ადმინისტრაცია ამ თვალსაზრისით წინამორბედებზე უფრო დამაიმედებელია);
- აფხაზეთის ნაბიჯ-ნაბიჯ გახსნას გარე სამყაროსთვის (შემხვედრი იმპულსების დაფიქსირების შემთხვევაში), ყველგან, სადაც ეს საქართველოს სუვერენიტეტს არ დააზარალებს.

*აგვისტო-სექტემბერი, 2020*